აჭარის
ტელევიზია
და რადიო
საზოგადოებრივი მაუწყებელი

საქართველო, 6010,ბათუმი მემედ აბაშიძის, 41
41, Memed Abashidze av. Batumi, 6010, Georgia
Tel : + 995 422 274370/274382
Fax: + 995 422 274384/274371
info@ajaratv.ge
ajaratv.ge

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №02-03/34

ქ. ბათუმი

25 სექტემბერი 2018წ.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრის განხილვის კომისიის შექმნის შესახებ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ში 2018 წლის 21 სექტემბერს შემოვიდა დავით მიქელაძის #02-24/354 განცხადება, რომლითაც ის აცხადებს, რომ აჭარის ტელევიზიით მის შესახებ გავრცელდა დეზინფორმაცია და ითხოვს შეცდომის გასწორებას და ობიექტური, გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელებას.

ვიხელმძღვანელე რა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით", სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლოის აჭარის ტელევიზია და რადიოს" დირექტორის 2015 წლის 01 ოქტომბრის #02-03/18 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს" მიერ თვითრეგულირების მექანიძმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულებით, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. #02-24/354 განცხადების განხილვის მიზნით თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში შეიქმნას საჩივრის განხილვის კომისია შემდეგი შემადგენლობით:
1. ხათუნა ბაგრატიონი - დამოუკიდებელი იურისტი
2. არჩილ ხახუტაიშვილი - ა(ა)იპ დემოკრატიის ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი
3. მალხაზ ჭკადუა - ა(ა)იპ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო.
2. საჩივრის განხილვის კომისიის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განსაზღვრულია „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს" მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულებით.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილების ქ. N30) მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში.
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ჯემალ გვეტაძე
დირექტორის მ/შ